



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი



გარემოს ეროვნული
სააგენტო

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ვეისტ მენეჯმენტ ჯორჯიას“ მიერ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: არასახიფათო ნარჩენების (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ვეისტ მენეჯმენტ ჯორჯია“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2024 წლის 9 დეკემბერი, 15:00 საათი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის: მოსკოვის გამზ. N14)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი



გარემოს ეროვნული
სააგენტო

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 18 ნოემბერს**, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
<https://ei.gov.ge/ka/info/8463335d-b984-44fb-95ec-b373b5cd39ea>